

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1958 წლის 27 მარტს თბილისში, 1975 წელს დავამთავრე მე-60 საშუალო სკოლა.

1981 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1981 წლიდან ვმუშაობდი მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში სხვადასხვა თანამდებობებზე - ექსკურსიამძღოლად, სამეცნიერო განყოფილების გამგედ, სწავლულ მდივნად, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1984 წლის 27 მარტს დამაკავეს ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული) და მომისაჯეს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით. სასჯელი სრულად მოვიხადე თბილისში მდებარე სახელმწიფო უშიშროების იზოლატორში და გავთავისუფლდი 1985 წლის 27 სექტემბერს. აღნიშნულის გამო 1998 წელს სასამართლოს მიერ აღიარებული ვიქენი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

1992 წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს ეროვნული ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს ლტოლვილთა და დეპორტირებულთა დაცვის განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

1992 წელს ამირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად, რომლის უფლებამოსილება შემიწყდა ახალი მოწვევის პარლამენტის არჩევის შემდეგ - 1995 წელს.

1996 წელს საბჭოთა პერიოდის სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად დავაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, რომლის თავმჯდომარე გახდა ნანა კაკაბაძე, ხოლო მე ვიყავი ამ ორანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სართაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით ამ ორგანიზაციის ეგიდით დაახლოებით 15 წლის მანძილზე ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მაქვს არაერთი წიგნი და ბროშურა, რომლებიც ეძღვნება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლმსაჯულების პრობლემატიკას. კერძოდ: „საქართველოს ციხეები“, „ადამიანის უფლებები საქართველოში“, „მართლმსაჯულება საქართველოში“, „პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები“, „არჩევანი არჩევანის გარეშე“, „დემოკრატიის შუქურა“, „შევაჩეროთ წამება“ და ა. შ.

1999 წელს დავამთავრე თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი.

1996-2000 წლებში ვმუშაობდი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ექსპერტ-კონსულტატისა და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2000-2004 წლებში ვმუშაობდი თბილისის იურიდიულ ფსიქოლოგიური ინსტიტუტში სამართალმცოდნეობის კათედრის უფროს მასწავლებლად.

2003 წლის ნოემბერში ჩავაბარე საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ ორგანიზებული ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში და მას შემდეგ დღემდე ვეწევი საადვოკატო საქმიანობას.

რაც შეეხება სერტიფიკატებს, მართალია, მონაწილეობა მაქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სემინარში და ტრენინგში, მაგრამ იქ მიღებული სერტიფიკატები არ მაქვს შენახული, რის გამოც არ შემიძლია მათი წარმოდგენა. შენახული მაქვს მხოლოდ მინიატურული სტელა კავკასიონის ფონზე წარწერით: “Герой Кавказа-2015. Гела Николаишвили, По версии Кавказского Узла“, რომელიც აღნიშნულმა საერთო კავკასიურმა უფლებადაცვითმა საიტმა მომანიჭა 2017 წლის იანვარში. ჩემს გარდა ეს ჯილდო საქართველოდან იმ წელს მიენიჭა უფლებადმცველ თამთა მიქელაძეს (იხ. საიტი Kavkaz-uzel.eu).

ოჯახური მდგომარეობა:

განქორწინებული.

მყავს 2 შვილი:

ბექა ნიკოლაიშვილი (დაბ. 03.05.89.), შპს „დიჯითის“ დამფუძნებელი და დირექტორი.

თამარ ნიკოლაიშვილი (დაბ. 05.08.90.), მუშაობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, მსოფლიო ბანკის საპილოტო პროექტის რეგიონული ადმინისტრატორი.

შვილიშვილი - ტაისია ბერიშვილი (დაბ. 28.06.18.).

2011 წლიდან ვცხოვრობ არარეგისტრირებულ ქორწინებაში ბელა ივანიშვილთან (დაბ. 13.05.68.), [REDACTED]

დანართები:

ზემოხსენებულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის ჩემი ავტორობითა და თანაავტორობით გამოცემული ლიტერატურის ყდების ფოტოები (საჭიროების შემთხვევაში წარმოვადგენ აღნიშნულ გამოცემებს) და მთლიანი ტექსტი ერთ-ერთი მათგანიდან - 2007 წელს გამოცემული ნაშრომიდან „მართლმსაჯულება საქართველოში“.